სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება # 65

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 23 მაისი 2017 წ.

ერთის მხრივ, თვითმართველი ერთეული სამტრედიის მუნიციპალიტეტსა, წარმოდგენილი გამგებლის ვალერიანე ფოცხვერიას სახით. (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ინდიკო"-ს შორის, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მანანა გვასალიას სახით მის: ქ. სენაკი, ღვინჯილიას ქ.#3 საინდ. კოდი **239862298**, მომსახურე ბანკი - ს.ს,, საქართველოს ბანკი'', ბანკის კოდი BAGAGE22, ანგ#GE98BG0000000129094600 (შემდგომში ,,მიმწოდებელი"). იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი SPA170005331, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაო შემდეგ თანხაზე: 2 720 591 (ორი მილიონ შვიდასოცი ათას ხუთასოთხმოცდათერთმეტი) ლარი

(შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება").

CPV კოდი - 45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3.,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშნებლო წესებითა და ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესაბამისობაში უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის ,,ტექნიკურ დავალებასთან" და ,,აუცილებელ პირობებთან".

3. საპატენტო უფლებები.

3.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენების საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება

ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ სამუშაოების შესრულების პარალელურად განახორციელოს კონტროლი შესრულებულ სამუშაოებზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის
(ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისია.**

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. ,,ფასების ცხრილი"-თა და შესაბამისი ნახაზებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 დღეში და დასრულდეს 120 დღეში, ვინაიდან სამუშაოები უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე და გასათვალისწინებელია ამინდები.

5.2. სამუშაოების ჩატარების ადგილია:

1) სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაბა კულაშში: აღმაშენებლის, თამარ მეფის, გაგოშიძის და 9 აპრილის ქუჩაზე სოფ. მიწაბოგირის მიმართულებით ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.

2) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაშში, ქვედა ბაშის მგზავრთა პირველი მოსაცდელიდან სოფლის ცენტრამდე ასფალტის დაგება.

3) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის თემში სოფ. ნინუაკუთხეში საავტომობილო გზებზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.

4) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერ-ჯიხაიშის დამაკავშირებელ გზაზე პატარა ეწრის სასაფლაოდან ე.წ. საწურბლიამდე საავტომობილო გზებზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.

5) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. იანეთში მე-3 ქუჩაზე წმ. გიორგის სახელობის ტაძრამდე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.

6) ქ. სამტრედიაში მაიაკოვსკის, დიდგორის, სოლომონ მეფის დადუმბაძის ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის

7) ქ. სამტრედიაში ბახტაძის, ახალგაზრდობის, ცაბაძის და ქუთაისის ქუჩებზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.

8) ქ. სამტრედიაში, ხიბლარის, გამრეელეიძის, ნ. ადეიშვილის ქუჩებზე, რუსთაველის მე-2 ჩიხი, ბესიკის ქუჩა, ბესიკის პირველი ჩიხი, არგონავტების ქუჩა, არგონავტების პირველი

ჩიხი, გამსახურდიას მე-2 შესახვევი, ჭანტურიას მე-2 და მე-4 ჩიხებში ასფალტო- ბეტონის საფარის დაგება.

9) ქ. სამტრედიაში ქაროსანიძის, პეკინის, ჩოლოყაშვილის, ერისთავის, ნიკურაძის, ორბელიანის, კრავეიშვილის, რესპუბლიკის ჩიხში დ. აღმამშენებლის ტაძრამდე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები ჩაატაროს ხარისხიანად:

-სამუშაოები უნდა ჩატარდეს ხარისხიანად, იმ დასახელებების მოცულობების გათვალისწინებით, რაც ასახულია კონკრეტული სამუშაოს ფასების ცხრილში, გარდა აღნიშნულისა გათვალისწინებული უნდა იქნას:

- სამუშაოთა წარმოების ყველა ის ეტაპი, რომელიც ითვლება დაფარულ სამუშაოდ ,,მომწოდებელი" ვალდებულია დაისწროს შემსყიდველის შესაბამისი კომისიის წარმომადგენლები, რომელთა ინფორმირება უნდა უზრუნველყოს თავად ,,მომწოდებელმა" წინააღმდეგ შემთხვავაში ,,შემსყიდველი"-ს მხრიდან შესრულებული სამუშაოები არ ანაზღაურდება, თავის მხრივ კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დროულად უზრუნველყონ დაფარული სამუშაოების მიმდინარეობაზე დასწრება და აღრიცხვა, რათა ხელი არ შეეშალოს ,,მომწოდბელს" სამუშაოთა დროულად და ეფექტურად განხორციელებაში.

- ,,მომწოდებელი" ვალდებულია სამუშაოები ჩაატაროს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოცულობების, ნახაზებისა და პირობების შესაბამისად.

- ,,მომწოდებელი" ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი ნორმებისა და წესების, მსაგავსი სამუშაოებისთვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვავაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მომწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხიმგებლობის ზომები.

5.4 შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე ,,მომწოდებელი" იღებს 2 (ორი) წლიანი გარანტიას, გარდა ფორს მაჟორული სიტუაციებიდან მიღებული დაზიანებებისა;

საგარანტიო ვადის პერიოდში ,,მომწოდებელი" შეტყობინების მიღებისთანავე ვალდებულია დაიწყოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის შეკეთება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გარეშე.

საგარანტიო ვადის განმავლობაში ,,მომწოდებლი"-ს მიზეზით გამოვლენილი დეფექტების შემთხვევაში ,,მომწოდებელი" საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს დეფექტების აღმოფხვრას შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში, სამუშაოთა მოცულობების გათვალისწინებით

5.5 მომწოდებელი ვალდებულია ყოველი კონკრეტული სამუშაოს დასრულების შესახებ წერილობით აცნობოს შემსყიდველს და წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა #2), რომლის შემდეგაც სამუშაოთა დასრულებიდან 3 დღის შემდეგ შემსყიდველის მითითებით, არსებული ნორმების გათვალისწინებით მომწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ე.წ ასფალტის ამოჭრები, რომელიც გადაეცემა შემსყიდველის მიერ შექმნილ შესაბამის კომისიას და შემსყიდველის ინიციატივითვე იგზავნება შესაბამის ლაბორატორიაში, რათა დადგინდეს ის შეესაბამება თუ არა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ასფალტის მარკასა, ტიპს, გოსტს და სისქეს. (ლაბორატიული დასკვნების საფასურის გადახდის ვალდებულება ეკისრება მომწოდებელს) _ იმ შემთხვავაში თუ კი ლაბორატორიული დასკვნა არ იქნება ტექნიკური დავალებისა და ფასების ცხრილით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში, მომწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები არ ანაზრაურდება. - მომწოდებელი ვალდებულია

ასფალტის დამზადებისას გამოიყენოს სერთიფიცირებული ბიტუმი, ფრაქციული ღორღი და ქვიშა, რომელის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლი შემსყიდველს უნდა წარედგინოს მოთხოვნისთანავე. _ ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობისას ფასის კლება არ განახორციელოს დასაგები ასფალტის ხარისხის გაუარესების ხარჯზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშწორება

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში;

6.2. ნებისმიერ ეტაპაზე ანგარიშსწორება მოხდება საგადასახადო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) დამოწმებიდან 10 დღის ვადაში, აღნიშნული დოკუმენტაციის (ანგარიშ- ფაქტურის) დამოწმების საფუძველია ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი მიღება- ჩაბარების აქტი და შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნა, რომელშიც დაფიქსირებული ასფალტის სისქისა და მარკიანობის შესახებ ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან.

6.3 ,,მომწოდებელს" ეტაპობრივი დაფინანსების მოთხოვნაზე განაცხადის გაკეთების უფლება აქვს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული კონკრეტული ქუჩის სრულად დამთავრების შემდეგ.

6.4. წინასწარი ანგარიშწორების მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია, სახელშეკრულებო თანხის 30%-ის ფარგლებში, შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის

საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.5 ,,შემსყიდველის" გადაწყვეტილებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას ალტერნატიული წინასწარი ანგარიშწორების მექანიზმი, რომელიც განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების 26^3 მუხლის მიხედვით, რომლის დროსაც მომწოდებელი ვალდებულია გახსნას საამისოდ განკუთვნილი ცალკე საბანკო ანგარიში.

6.6 წინასწარი ანგარიშწორების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული მასალების შესყიდვის მიზნით, რომელიც განხორციელდება III ეტაპად, თითოეულ ეტაპზე მომწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს სახელშეკრულებო თანხის მაქსისმუმ 20% და ყოველი მომდევნო ეტაპის თანხის მოთხოვნისას ათვისებული და შესაბამისი დოკუმენტაციით უზრუნველყოფილი უნდა იყოს წინა ეტაპზე გამოყოფილი თანხა.

6.7 წინასწარი ანგარიშწორების მოთხოვნისას ,,მომწოდებელი" ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულება და ინვოისი იმ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომლისგანაც აპირებს რაიმე კონკრებული მასალის შეძენას, ხოლო შეძენის შემდეგ წარმოადგინოს საგადასახადო ანგ. ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედდებულის ასლები.

6.8 თითოეული ეტაპის წინასწარი ანგარიშწორების განხორციელების საკითხს წყვეტს ,,შემსყიდველი" და რაიმე სახის დამაეჭვებელი გარემოების შემთვევაში ,,შემსყიდველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს წინასწარი ანგარიშწორების განხორციელებაზე.

6.9 შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურდება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა 95%, სამუშაოთა სრულად დამთავრების შემდეგ ,,მომწოდებელს" დაუბრუნდება დაკავებული 5%- დან 2,5%, ხოლო დარჩენილი 2,5% დაუბრუნდება სამუშაოთა სრულად დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ (შესრულებულ სამუშაოთა საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ). დაკავებული 2,5%-ის დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენლი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, რომ საგარანტიო ვადის პერიოდში შესრულებულ სამუშაოებზე რაიმე სახის ხარვეზი და დეფექტი არ შეინიშნება, ან აღმოჩენილი ყველა დეფექტი მომწოდებლის მიერ აღმოფხვრილია და

აქტის შედგენის დროს რაიმე სახის ხარვეზი, რომელიც დაკავშირებულია ,,მომწოდებლის" მხრიდან შერულებული სამუშაოების ხარისხთან არ არსებობს.

6.10 ,,შესრულებული სამუშაოების აქტზე" (ფორმა #2-ზე) უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

7. ფასები

7.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

7.2. **შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2 720 591** (ორი მილიონ შვიდასოცი ათას ხუთასოთხმოცდათერთმეტი) ლარი

7.3. **ფასების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფაქტების დადგომისას.**

7.4. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასისი გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1. ,,მომწოდებელს" უფლება ,,შემსყიდველთან" შეთანხმებით უფლება აქვს აიყვანოს სუბკონტრაქტორი.

10.2 ,,შემსყიდველი'-ს მხრიდან სუბკონტრაქტორად იურიდიული ან ფიზიკური პირის აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ,,მომწოდებელი" ვალდებულია შესაბამისი წერილით მიმართოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და თან წარადგინოს სუბკონტრაქტორის რეკვიზიტებისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, რომელიც შესაბამისი უნდა იყოს იმ მოთხოვნების რომელიც სატენდერო დოკუმენტაციითა გათვალისწინებული, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა ის საკვალიფიკაციო მონაცემი, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციითა გათვალისწინებული, ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გაცემული უნდა იყოს წერილის წარმოდგენამდე არა უმეტეს 5 დღით ადრე.

10.3 ,,მომწოდებელი" პასუხს აგებს არა მარტო მის მიერ, არამედ სუბკონტრაქტორის

მიერ შესრულებულ ნებისმიერი სამუშაოს ხარისხზე.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ გამოიყენება

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუ კი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, მათ შორის სამუშაოთა გრაფიკის დარღვევისათვის, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

12.2 ასევე მომწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დაწყებიდან 60 დღეში (გარდა ფორსმაჟორული სიტუაციებისა) წარმოადგინოს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების მინიმუმ 50%. გადაცილების შემთხვევაში მომწოდებელს დაეკისრება იმ 50%-ის ღირებულებს 0,02 % ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

12,5 ,,მომწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ,,შემსყიდველს" უფლება აქვს მოახდინოს ,,მომწოდებლი"-ს დაჯარიმება 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობით.

12.6 საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ხარვეზების დროულად და დადგენილ ვადაში (10 დღე) არ აღმოფხვრის შეთხვევაში ,,მომწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი

ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. შეტყობინება

18.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მირების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელები გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

20.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია **სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის** ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 23 ოქტომბრამდე

21. სხვა პირობები

21.1. არც ერთი მხარე არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

21.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი	შ.პ.ს. „ინდიკო"-ს დირექტორი
ვალერიანე ფოცხვერია	მანანა გვასალია